

სსიპ აჭარის ა.რ. საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის 2019 წლის ბიუჯეტის პროექტი



საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი

ბათუმი
მაისი, 2018 წელი



საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი

2019–2022 წლისათვის

პროგრამა – საზოგადოებრივი
ჯანმრთელობის დაცვა

პრიორიტეტი –
მოსახლეობის
ჯანმრთელობის
დაცვა

ქვეპროგრამა – საზოგადოებრივი
ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკის
შემუშავება და მართვა

ქვეპროგრამა – დაავადებათა პრევენცია
და პროფილაქტიკა


პროგრამული ბიუჯეტი 2018–2019წწ



ცენტრის აპარატი



ქვეპროგრამა – დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა



2019 წლისათვის
პროგრამის – „საზოგადოებრივი ჯანმრთელობა“ ბიუჯეტი –
1 208 840 ლარი, მ.შ.

აჭარის ა/რ ბიუჯეტი –
1 186 280 ლარი

საკუთარი
შემოსავლები –
22 560 ლარი

- ღიარებულ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა
- ტრანსმისიულ დაავადებათა პრევენცია
- ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა

პროგრამის მიზანი

- ❖ რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა
- ❖ მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და გაუმჯობესება გადამდებ და არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის საფრთხეებისადმი მზადყოფნისა და დროული რეაგირების გზით
- ❖ ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობა, მოსახლეობის ცნობიერების დონის გაზრდა და ჩართულობა;
- ❖ დაავადებათა ადრეული გამოვლენა და დიაგნოსტიკა,
- ❖ არაგადამდებ დაავადებებთან დაკავშირებული ავადობითა და უნარშეზღუდულობით გამოწვეული მართვადი ტვირთის შემცირება,
- ❖ სამედიცინო დიაგნოსტიკურ სერვისებზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა მუნიციპალურ დონეზე.



საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი

ქვეპროგრამა – საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს პოლიტიკის შემუშავება და მართვა



- ❖ გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხედველობა და კონტროლი, ეპიდსაწინააღმდეგო და პრევენციული ღონისძიებების განხორციელება. პრიორიტეტული საკითხის ირგვლივ სამიზნე ჯგუფებისა და მოსახლეობის ინფორმატიულობის ზრდა, ჩართულობა.
- ❖ იმუნოპროფილაქტიკის ხელშეწყობა, მისი ლოჯისტიკური უზრუნველყოფა და განხორციელების ზედამხედველობა.
- ❖ სახელმწიფო სტატისტიკის წარმოება, მონაცემთა ხარისხის სრულყოფის ხელშეწყობა;
- ❖ ტუბერკულოზის, აივ ინფექცია/შიდსის და C ჰეპატიტის ინტეგრირებული სკრინინგი და ტუბერკულოზის გამოსავლების გაუმჯობესება აჭარის რეგიონში


ქვეპროგრამა-დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა -395 700 ლარი

დასახელება	პროდუქტები		
	რაოდენობა	ერთ. საშ. ფასი	სულ (ლარი)
მენჯ-ბარძაყის სახსრის დიპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა	2100 (ბენეფიციარი)	17,62	37 000
ც ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის თანადაფინანსება	1000 (ბენეფიციარი)	95,00	95 000
ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში	5000 (ბენეფიციარი)	40,00	200 000
ახალშობილთა სკრინინგი მუკოვისციდოზზე	700 (ბენეფიციარი)	7,46	5 220
სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა	30 (ბენეფიციარი)	33,67	1 010
ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში	770 (ბენეფიციარი)	52,08	40 100
ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა და მართვა სკოლამდელ ასაკში	7500 (ბენეფიციარი)	2,48	17 370

„ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა ” 2018წ

2018 წელს ორთოპედის მიერ გაწეული კონსულტაციის რაოდენობა -ბენეფიციართა საპროგნოზო რაოდენობა 4100

2018 წლის იანვარი-აპრილის შედეგები



ქვეპროგრამა – დაავადებათა პრევენცია და პროფილაქტიკა

ღონისძიება – „ მენჯ-ბარძაყის სახსრის დისპლაზიისა და თანდაყოლილი ამოვარდნილობის ადრეული დიაგნოსტიკა ” 2019წ

ითვალისწინებს: ბავშვთა განვითარების ადრეულ ასაკში ძვალ-სახსართა თანდაყოლილი დეფორმაციების, მ.შ. მენჯ-ბარძაყის სახსრის თანდაყოლილი ამოვარდნილობისა და დისპლაზიის დროული გამოვლენისა და დიაგნოსტიკის მიზნით, 0-1 წლამდე ასაკის ბავშვებში ჩატარდება ორთოპედის კონსულტაცია, Ca-ის შემცველი მედიკამენტოზური პრევენცია, პირველადი დიაგნოზის დაზუსტების მიზნით საჭიროების შემთხვევაში, რენტგენოლოგიური გამოკვლევა, ორთოპედის მიერ შემთხვევის მართვის დროული დაგეგმვა.

ორთოპედის მიერ გაწეული კონსულტაციის რაოდენობა -ბენეფიციართა
საპროგნოზო რაოდენობა 2100

განხორციელებული რენტგენოლოგიური გამოკვლევა -გამოკვლეულ
ბენეფიციართა არანაკლებ 80%-ში

მედიკამენტოზური პროფილაქტიკა -მომართულ ბენეფიციართა 80%-ში

ღონისძიების – C ჰეპატიტით დაავადებულ პირთა დიაგნოსტიკის თანადაფინანსება

მიზანი – C ჰეპატიტით გამოწვეული ავადობის, სიკვდილიანობისა და ინფექციის გავრცელების შემცირება დაავადების პრევენციაზე, დიაგნოსტიკასა და მკურნალობაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის გზით

2015 წლის აპრილში საქართველომ წამოიწყო უპრეცედენტო პროგრამა და მიზნად დაისახა ქვეყანაში C ჰეპატიტის ელიმინაცია. C ჰეპატიტის სახელმწიფო პროგრამის ამოქმედებიდან (26.02 მდგომარეობით) აჭარის რეგიონში სახელმწიფო პროგრამაში ჩაერთო 6498 ინფიცირებული, მ.შ. მუნიციპალიტეტის მკვიდრია 2338, რომელთაც ისარგებლეს საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის თანადაფინანსების კომპონენტით.

2015 წლიდან მკურნალობაში ჩაერთო 3940 პირი, რომელთა შორის:

გამოჯანმრთელდა 3004

აგრძელებს მკურნალობას 692

რელაფსი 5

შეწყვიტა მკურნალობა 44

გარდაიცვალა 20

მკურნალობის შედეგი უცნობია 175



თანაგადახდის შემცირების მიზნები - სახელმწიფო პროგრამის ტარიფები

მკურნალობაში ჩართვამდე საჭირო კვლევები	საქართველოს მთავრობის 2016 წლის 17 ივნისის N272 დადგენილებით		საქართველოს მთავრობის 2018 წლის 7 მარტის N118 დადგენილებით	
	ელასტოგრაფიით	ელასტოგრაფიის გარეშე	ელასტოგრაფიით	ელასტოგრაფიის გარეშე
	390	310	369	289
მკურნალობის მონიტორინგი	446		258	
ჰეპატიტის დადგენა HCV რნმ (რაოდენობრივი, თვისობრივი Genexpert)	110		2017 წლის 1 დეკემბრიდან - 0	



ღონისძიების – ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში


- ითვალისწინებს: ინსტრუმენტულ–ლაბორატორიული გამოკვლევა – ულტრასონოგრაფია, ფარისებრი ჯირკვლის ჰორმონალური (თირეოტროპული ჰორმონი, თავისუფალი თიროქსინი) გამოკვლევა, ენდოკრინოლოგის კონსულტაცია, ღონისძიებით მოსარგებლეა „დედათა და ბავშვთა ჯანმრთელობის“ სახელმწიფო პროგრამის ანტენატალურ კომპონენტში ჩართული ყველა ორსული, საქართველოს მოქალაქეები, რომლებიც რეგისტრირებული არიან აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ღონისძიებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება სამედიცინო ვაუჩერის საშუალებით

ჩატარებული ლაბორატორიული, ინსტრუმენტული გამოკვლევები და ენდოკრინოლოგის კონსულტაცია–საპროგნოზო რაოდენობა 5000 ორსული,

ღონისძიების – ფარისებრი ჯირკვლის გამოკვლევა ორსულებში

- ღონისძიების მონაწილეა ანტენალური სერვისის მიმწოდებელი 9 დაწესებულება
- სულ 20 აპრილის მდგომარეობით მომსახურება გაეწია 1710 ორსულს
- ბენეფიციართა შორის 54% პათოლოგიის გარეშეა

ფიქსირებული პათოლოგიები %



ღონისძიების – ახალშობილთა სკრინინგი მუკოვისციდოზზე

ქობულეთის, ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში დაბადებულ ახალშობილებში გათვალისწინებულია პირველადი და საჭიროების შემთხვევაში განმეორებითი სკრინინგი მუკოვისციდოზზე, ახალშობილთა საპროგნოზო რაოდენობა–700.

- მუკოვისციდოზი ყველაზე გავრცელებული გენეტიკური დაავადებაა, რომლის გამომწვევ რეცესიულ გენს ყოველი მეოცე ადამიანი ატარებს და თავს მხოლოდ მეორე მშობლის ასეთივე გენტან კომბინაციაში ავლენს. თუ ორივე მშობელს აქვს მუკოვისციდოზის რეცესიული გენი, დაავადებული ბავშვის დაბადების ალბათობა ყოველი ორსულობისას ოთხიდან ერთია, ხოლო ჯანმრთელისა – ოთხიდან სამი. საბედნიეროდ, თანამედროვე მკურნალობის შედეგად მუკოვისციდოზით დაავადებულ ბავშვთა სიცოცხლის ხანგრძლივობამ შესამჩნევად მოიმატა, თუმცა ასეთ ბავშვებს მუდმივი მკურნალობა სჭირდებათ.

ახალშობილებში პირველადი სკრინინგის რაოდენობა–საპროგნოზო რაოდენობა 700
ახალშობილი

განმეორებითი სკრინინგი, ახალშობილთა საპროგნოზო რაოდენობა 9

სმენის თანდაყოლილი პათოლოგიის მეორეული დიაგნოსტიკა

მუნიციპალიტეტების სამედიცინო დაწესებულებებში პირველადი სკრინინგით გამოვლენილ, სმენის დარღვევების მქონე ახალშობილებს (საპროგნოზოდ 30-ს) ჩაუტარდება:

მეორადი სკრინინგი და საჭიროების შემთხვევაში მათი ჩაღრმავებული კვლევები (ტვინის ღეროს სმენის პასუხი, ტიმპანომეტრული კვლევა და კომპიუტერული აუდიომეტრია);

შიგნითა ყურის გამოკვლევა ანუ სმენის მეორადი სკრინინგი (საპროგნოზო რაოდენობა - 30 შემთხვევა)

სმენის მეორადი სკრინინგით სმენის პრობლემების არსებობის შემთხვევაში, ტვინის ღეროს სმენის პასუხის მარტივი ტესტი (Auditory Brain Stem Response) (საპროგნოზო რაოდენობა - 5 შემთხვევა);

კომპიუტერულ აუდიომეტრიული გამოკვლევა ტვინის ღეროს სმენის პასუხის რეგისტრაციის მეთოდით (საპროგნოზო რაოდენობა -1 შემთხვევა);

ჰელმინთოზების სპექტრის დადგენა და მართვა (სამიზნე ჯგუფში)

- ჰელმინთოზებით ავადობის სპექტრის დადგენისა და დროული დიაგნოსტიკის მიზნით ქალაქ ბათუმის საბავშვო ბაღის აღსაზრდელებში გათვალისწინებულია:
 - ჰელმინთებზე ლაბორატორიული კვლევა (საპროგნოზოდ 7500 აღსაზრდელი)
 - ოჯახის ექიმის/პედიატრის/პარაზიტოლოგის კონსულტაცია (12%)
 - ანტიჰელმინთური მედიკამენტის სამკურნალო დოზა(12%)
- მიმდინარე წელს 20 აპრილის მდგომარეობით 2827 აღსაზრდელიდან 359 (12,6%) დაუდგინდა სხვადასხვა სახის ინვაზია



სამოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი

ბრონქული ასთმის დიაგნოსტიკა სამიზნე ჯგუფში

იდენტიფიცირებულ რისკ-ჯგუფში, 500 ბენეფიციარი (რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების ბავშვები, იდენტიფიცირებული ჯანმოს კითხვარით), გათვალისწინებულია ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკა: ალერგოლოგის კონსულტაცია, გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა, კანის პრიკ ტესტი არაინფექციური ალერგენებით, ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდის განსაზღვრა ანალიზატორით.

ღონისძიებით განსაზღვრული დიაგნოსტიკური კვლევების ჩატარება შეეძლება ასევე, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ, ალერგოლოგთან კონსულტაციაზე პირველადი ჯანდაცვის ცენტრის მიერ რეფერირებულ 6-12 წლის ასაკის არანაკლებ 100 ბენეფიციარს.

2019 წელი-

- ❖ რეგიონის საჯარო და კერძო სკოლების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეთა პირველადი ტესტირება კითხვარით, ბაზის იდენტიფიცირება
- ❖ ტესტირებულ ბენეფიციართა 10%-ში დიაგნოსტიკური კვლევების განხორციელება
- ❖ რეგიონის მუნიციპალიტეტების პირველადი ჯანდაცვის ქსელიდან რეფერირებული 100 მოსწავლის დიაგნოსტიკა ალერგიულ დაავადებებზე

პირველადი ტესტირებულთა რაოდენობა- რეგიონის სკოლების პირველი და მეორე კლასის მოსწავლეები


ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ დიაგნოსტიკური კვლევები ალერგიულ დაავადებათა დიაგნოსტიკისა და მართვის დაგეგმვის მიზნით - არანაკლებ 700 ბენეფიციარისა

ბენეფიციართა რაოდენობა, რომელთაც ჩაუტარდათ ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდის განსაზღვრა ანალიზატორით - არანაკლებ 140 ბენეფიციარისა


ღონისძიების შედეგები (%) 20 აპრილის მდგომარეობით

საანგარიშო პერიოდში მომსახურება გაეწია 161 ბენეფიციარს, მათ შორის 137 ბაზიდან, 24 პირველადი ჯანდაცვის ცენტრიდან მომართული.

-გარეგანი სუნთქვის ფუნქციის გამოკვლევა-161
-კანის პრიკ ტესტი არაინფექციური ალერგენებით -161
-ამოსუნთქულ ჰაერში აზოტის მონოქსიდის განსაზღვრა - 37



რატომ აჭარა? ტუბერკულოზით დაავადებიანობა საქართველოსა და აჭარაში 100 ათას მოსახლეზე



ნულოვანი ტუბერკულოზის ინიციატივა

თანადაფინანსების პრინციპები

ტბ გამოვლენის გაძლიერება

მკურნალობის შედეგების გაუმჯობესება ტბ შემთხვევების სრულყოფილი მართვით

-მრგვალი მაგიდები ცნობიერების ამაღლების, პარტნიორობის ჩამოყალიბების და კოორდინაციისთვის

-პჯდ პროვაიდერთა ტრენინგი

-მოსახლეობის ცნობიერების ამაღლების კამპანია

-Xpert MTB/RIF ტექნოლოგია (აპარატები, კარტრიჯები)

-შემთხვევის მართვის პროტოკოლის და სტანდარტული ოპერაციული სახელმძღვანელოს შექმნა ადგილობრივი კონსულტანტების მიერ

-შემთხვევის მენეჯერთა ტრენინგი

-ტრანსპორტის შესყიდვა ბათუმში, ხელვაჩაურდა და ქობულეთში შემთხვევის მენეჯერთა ტრანსპორტირებისათვის

-მობილური ლაბორატორიის შექმნა ციფრული რენტგენოგრაფით

-VOT: მობილური ტელეფონები პაციენტებისთვის

-ტრანსპორტირების ხარჯი ტუბ პაციენტთა მკურნალობის გამოსავლების გაუმჯობესების ხელშეწყობის მიზნით

-მობილური დიაგნოსტიკური ლაბორატორიის ტრანსპორტირებისა და ტრანსპორტის შენახვის ხარჯი

ანაზღაურების ხარჯი:

- შემთხვევის მენეჯერი, ექიმი ფტიზიატრი, მძღოლი



პროგრამის მოსალოდნელი (საბოლოო) შედეგი

- ❖ რეგიონში ეპიდემიოლოგიურად კეთილსაიმედო გარემოს უზრუნველყოფა და შენარჩუნება
- ❖ მოსახლეობის დამოკიდებულების ჩამოყალიბება ცხოვრების ჯანსაღი წესის დასამკვიდრებლად
- ❖ დაავადებათა ადრეული გამოვლენა, დიაგნოსტიკა და პრევენცია, მოსახლეობის ჯანმრთელობის აცილებადი რისკების მართვა.



გმადლობთ
ყურადღებისთვის!



საზოგადოებრივი
ჯანდაცვის ცენტრი